

## გოეთეს რომან „არჩევითი ნათესაობის“ მოტივური სტრუქტურა

„არჩევით ნათესაობაზე“ მუშაობის პერიოდში, და უფრო ადრეც, გოეთე მძიმე სულიერმა კრიზისმა შეიპყრო. ამ დროს 58 წლის პოეტს უყვარდა სრულიად ახალგაზრდა მინე ჰერცლიბი, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა ამ კრიზისს. თანაც, გოეთეს ჯანმრთელობაც მკვეთრად გაუარესდა. ყოველივე ამას 1805 წელს დაემატა შილერის სიკვდილი, რაც, გოეთესთვის უაღრესად დიდი ემოციური დარტყმა იყო.

ცხოვრებისეული დამაბულობის განმუხტვა გოეთემ ხელოვნების სფეროში სცადა. მწერალი ეძებდა ისეთ საყრდენს, რომელიც მას ცხოვრებისეულ შეჭირვებას დაამლევილებდა. ასეთ საყრდენად მას ესახებოდა გამუდმებული შინაგანი სრულყოფა, სულიერი განწმენდა და საკუთარ თავზე ამაღლება, ემპირიული ზრახვებისა და სურვილების ტყვეობაში მყოფი „მე“-ს გადალახვა და „ჭეშმარიტი ადამიანის“ იდეალის განხორციელება. ეს იყო მისი ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი „არჩევით ნათესაობაზე“ მუშაობის დროს. ამ შინაგანი სრულყოფის პროცესის ჩვენებას ის შეეცადა რომანის მთავარი გმირის, ოტილიეს სულიერი გარდაქმნის მაგალითზე.

გოეთეს ეს რომანი (ისევე, როგორც, თუნდაც, „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“) უაღრესად პირადულია. „არჩევითი ნათესაობა“, გოეთეს სხვა მრავალი ნაწარმოების დარად, „ერთიანი კონფესიის ნაწილია“, იგი მწერლის სულიერი ცხოვრების წიაღში იშვა და უშუალოდ აირეკლავს იმ განცდებსა და პრობლემებს, რომელთაც XIX საუკუნის დასაწყისში გოეთეს ცხოვრებაში იჩინეს თავი.

•

სანამ პრობლემის განხილვას – რომანის მოტივურ სტრუქტურაზე საუბარს – შევუდგებოდეთ, მოკლედ გავიხსენოთ „არჩევითი ნათესაობის“ შინაარსი.

ედუარდსა და შარლოტეს სიყრმიდან უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ვაჟის მამამ მერკანტილური მოსაზრებებით დააშორა ისინი და ედუარდს, თავისი აზრით, უფრო შესაფერისი ქალი შერთო ცოლად. შარლოტეც გათხოვდა, მაგრამ გავიდა წლები და შეყვარებულნი მაინც დაქორწინდნენ. შარლოტე თავის ქალიშვილს პირველი ქორწინებიდან – ლუსიანეს – და დისწულ ოტილიეს აღსაზრდელად პანსიონში მიაბარებს, თავად კი ედუარდთან ერთად ამ უკანასკნელის მამულში დასახლდება, რათა მთლიანად ქმარს მიუძღვნას თავი და ბედნიერად იცხოვროს. მაგრამ იდილია მთავრდება, როცა ედუარდი შინ ბავშვობის მეგობარს, კაპიტანს, მიიწვევს, ხოლო შარლოტე პანსიონიდან გამოიყვანს ოტილიეს და თავისთან დააბინავებს. ერთ ხანს ედუარდის მამულში ცხოვრება თითქოს უფრო გახალისდება კიდევ. კაპიტანი იწყებს სასახლის გარშემო მდებარე ბაღებისა და პარკების გალამაზებას, რაშიც აქტიურად ეხმარება გონიერი და ენერგიული შარლოტე. მაგრამ კაპიტნისა და შარლოტეს ეს ურთიერთობა საბედისწერო აღმოჩნდება. მალე მათ ერთმანეთი შეუყვარდებიან, ედუარდი კი ასეთივე გრძნობით განიშსჭვალება ოტილიესადმი. თავის მხრივ, ამ გრძნობას არც ოტილიე ტოვებს უპასუხოდ. შარლოტე და კაპიტანი ხასიათის სიმტკიცეს გამოიჩინენ და თრგუნავენ თავიანთ სიყვარულს. ეს რომ გაიადვილოს, კაპიტანი ედუარდის სახლსაც კი ტოვებს. ამასობაში ოტილიესა და ედუარდის სიყვარული სულ უფრო ძლიერდება. ამას შარლოტეც შეამჩნევს და კონფლიქტის მოგვარებას ოტილიეს დათხოვნით განიზრახავს. მაგრამ ედუარდი ამის წინააღმდეგია. ის თვითონ დატოვებს საკუთარ სახლს, ოღონდ კი იქ ოტილიე დარჩეს. ედუარდის უპირველესი სურვილია ცოლთან გაყრა, მაგრამ შარლოტეს იმედი აქვს, რომ ბავშვი, რომელსაც იგი ელის, ედუარდს კვლავ მისკენ

შემოაბრუნებს. მაგრამ ამოდ; ედუარდი მაშინაც კი არ იცვლის გადაწყვეტილებას, როცა ვაჟი შეეძინება. ის ომში მიდის, რათა სიკვდილიმა მაინც მოუღოს ბოლო მის ტანჯვას, მაგრამ სიკვდილი გვერდს აუვლის ედუარდს. ოტილიე საკუთარ თავში ინახავს სიყვარულს და მთლიანად ედუარდის ვაჟის მოვლა-პატრონობას მიუძღვნის თავს. ომიდან დაბრუნებული ედუარდი თავის გადარჩენას ბედისწერას მიაწერს და გადაწყვეტს, რომ ღმერთს მისი და ოტილიეს სამუდამო შეერთება სურს. იგი თავის მეგობარს (რომელიც ამასობაში მაიორი გახდა) გაგზავნის შარლოტესთან, რათა ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, გაყრაზე დათანხმდეს, ხოლო მეორე მხრივ, თვით მაიორს მისცეს თანხმობა ცოლობაზე. თვითონ ედუარდი ოტილიეს საძებნელად გაემართება და მას თავის ბავშვთან ერთად პარკში იპოვის. მისი მგზნებარე სიტყვები იმდენად ააღვლებენ ოტილიეს, რომ გზად შინისკენ მას ნავიდან წყალში გადაუვარდება ბავშვი და იქიდან მკვდარს ამოიყვანს. შარლოტე გადაწყვეტს, რომ ბავშვის სიკვდილის მიზეზი მისი გაჯიუტება იყო და გაყრაზე დათანხმდება. რაც შეეხება მაიორთან დაქორწინებას, ამაზე იგი უარს ამბობს, რითაც პირად ბედნიერებაზე ფიქრსაც კი უარყოფს. მაგრამ ოტილიეც უარს ამბობს ბედნიერებაზე და პანსიონში დაბრუნებას განიზრახავს. გზად, ერთ-ერთ სასტუმროში, იგი ედუარდს შეხვდება, რომელიც იქ უცდის და ხელსაც სთხოვს მას. ოტილიე არ მიიღებს ედუარდის წინადადებას და თავზარდაცემული ბრუნდება შარლოტესთან. ცოდვების მოსანანიებლად იგი დუმილს არჩევს და საჭმელსაც თითქმის აღარ ეკარება. ერთ დღეს ჩაქრება მისი ცხოვრება, თუმცა სიკვდილის წინ ოტილიე პირობას ჩამოართმევს ედუარდს, რომ ის თავს არ მოიკლავს. მაგრამ სატრფოს სიკვდილი თანდათან მასაც მოუღებს ბოლოს: მას მკვდარს იპოვიან ოტილიეს საჩუქრებით გარემოცულს. შარლოტე ედუარდს ოტილიეს გვერდით დაასვენებს.

ასე მთავრდება ეს ნაწარმოები.



რომანის სათაური – „არჩევითი ნათესაობა“, – რომელსაც გოეთე დაესესხა თავისი თანამედროვის, შვედი ქიმიკოსისა და ბუნებისმეტყველის, ტორბერნ ოლოფ ბერგმანის ნაშრომს “De attractionibus electivis”, მოკლე და დაწურული ფორმულის სახით შეიცავს მთელი ნაწარმოების პრობლემატიკას და მიუთითებს ძალთა იმ თანაფარდობაზე, რომელიც განსაზღვრავს ეპიკური მოქმედების დინამიკას. „არჩევითი ნათესაობის“ ცნება აღნიშნავს ზოგიერთი ქიმიური ელემენტის თვისებას, ქიმიური რეაქციის პროცესში სხვა ელემენტების მიახლოებისას მიატოვონ ის ელემენტები, რომლებთანაც მანამდე ქმნიდნენ ნაერთს, და შეუერთდნენ ამ ახალ ელემენტებს. ეს მოვლენა თვით რომანში შემდეგნაირად არის გადმოცემული: „In diesem Fahrenlassen und Ergreifen, in diesem Fliehen und Suchen glaubt man wirklich eine höhere Bestimmung zu sehen; man traut solchen Wesen eine Art von Wollen und Wählen zu und hält das Kunstwort “Wahlverwandtschaften” für vollkommen gerechtfertigt.“<sup>1</sup>

ქიმიურ ელემენტთა შორის არსებული ეს ძალთა თამაში, რომელიც ელემენტების მიზიდვასა და განზიდვას ეფუძნება, გოეთემ ადამიანთა ურთიერთობის სფეროში გადმოიტანა და სცადა, მისი მეშვეობით მხატვრულად წარმოესახა თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემის ზნეობრივი არსი. ქიმიურ ელემენტთა ზემოაღნიშნული თავისებურებიდან გამომდინარეობს, რომ, მიუხედავად ვითომდა „არჩევანისა“, ეს ელემენტები თავიანთ ქვევაში საბოლოოდ მაინც ბუნებაში არსებულ აუცილებლობას ემორჩილებიან. იგივე პრობლემა, დასმული ადამიანის მიმართ, წარმოშობს კითხვას, არის თუ არა ადამიანის მოქმედებაც, მსგავსად არაორგანული პროცესებისა, წინასწარ

<sup>1</sup> J.W.Goethe: Die Wahlverwandtschaften. Textkritisch durchgesehen von Erich Trunz, kommentiert von Benno von Wiese. München, 1980, S.40.

განსაზღვრული, თუ ადამიანს შესწევს უნარი, ბუნების ელემენტარულ ძალებს თავის თავში ზნეობრივი მოქმედება დაუპირისპიროს და ამით ამაღლდეს მათზე. ეს კონფლიქტი და დაპირისპირება ბუნებრივსა და ზნეობრივ კანონებს შორის გოეთემ რომანში ორი „ჯვარედინად“ შეყვარებული წყვილის მაგალითზე წარმოსახა. მან საგანგებოდ ისე განალაგა თავისი რომანის პერსონაჟები, რომ ანალოგია ქიმიურ პროცესსა და ადამიანურ ურთიერთობებს შორის მკითხველისთვის სრულიად ნათელი ყოფილიყო, ხოლო თვითონ მეთვალყურის პოზიცია დაიკავა. სწორედ ამიტომ ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები არ ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას და ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებენ თავიანთ სიმბოლურ არსს. „არჩევითი ნათესაობის“ მრავალფეროვანი სიმბოლიკის გარეგან სიუჟეტურ მოქმედებაზე დაყვანა მაშინათვე ავლენს რომანის თითოეულ წვრილმანში გააზრებულ სიმბოლურ კონსტრუქციას, რომლის საყრდენებსაც ეპიკურ თხრობაში ინტეგრირებული მოტივები ქმნიან. ისინი ერთგვარი „დედა-ბოძების“ როლს ასრულებენ მთელი ნაწარმოების სტრუქტურულ ქარგაში. გარდა ამისა, ისინი ღრმა შინაარსით არიან დატვირთული და იდეის გახსნას ემსახურებიან.

ამ გაგებით უკვე „არჩევითი ნათესაობის“ გმირთა სახელები, რომლებიც, როგორც დავინახავთ, ერთ ფუძეზე, ძირზე, ან, მარტივად, ერთ სახელზე დაიყვანებიან, გარკვეულწილად მოტივის ფუნქციას ასრულებენ, თანაც ისეთი მოტივისა, რომელიც უშუალოდ აირეკლავს ნაწარმოების პრობლემატიკას.

სწორედ ამ საკითხს ეხება დასავლეთგერმანელი ლიტერატურათმცოდნის, ჰაინც შლაფერის მეტად საინტერესო ნაშრომი „სახელები და ასოები გოეთეს „არჩევით ნათესაობაში“.<sup>2</sup> შლაფერი ამტკიცებს, რომ სახელი „Otto“ შენიღბულად თუ ნახევრად შენიღბულად მოცემულია ოთხივე მთავარი პერსონაჟის სახელებში. იმას, რომ ედუარდსაც და კაპიტანსაც ოტო ჰქვიათ, მათს საპატივცემულოდ შარლოტეს მიერ მოწყობილი დღეობის დროს ვიგებთ. მერე იმასაც შევიტყობთ, რომ ერთ-ერთ მათგანს ედუარდი აურჩევია სახელად, რათა სკოლის მეგობრები ერთმანეთში არ არეოდათ. მაგრამ ოტოს არც მეორე ამხანაგს უძახიან – მისმა სამხედრო წოდებამ (კაპიტანი) დაჩრდილა საკუთარი სახელი და მეორე პლანზე გადაიყვანა იგი (ამ მხრივაც საყურადღებოა შლაფერის მოსაზრება, რომ ამ ადამიანის ნათლობის სახელი ამოეფარა პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვას, ხოლო მისი ბუნება, მისი ახალგაზრდობა და ადამიანური არსი პროფესიულმა ვალდებულებებმა დაჩრდილა. – ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანია კაპიტნის პიროვნების გაგებისთვის). რაც შეეხება ქალებს – Charlotte-სა და Ottilie-ს, სახელ Otto-ს არსებობა მათს სახელებში ძნელად შესამჩნევი არ უნდა იყოს. ამასთანავე, არჩევითი ნათესაობის არსთან, რომელმაც „Otto“-ს მეშვეობით კონკრეტული სახელწოდება მიიღო, ყველაზე ახლოს ოტილიე დგას. ამიტომ არის, რომ მის ინდივიდუალურ სახელში ყველაზე ნათლად ჩანს კუთვნილება საერთოსადმი – „die Zugehörigkeit zum Gemeinsamen.“<sup>3</sup> ამ სახელს სწორედ „Otto“ ანიჭებს ძირითად ფორმას, დაბოლოება კი მხოლოდ და მხოლოდ მდებარეობით სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ. გარდა ამისა, შლაფერი პატარა ოტოსადმი (ედუარდისა და შარლოტეს ვაჟისადმი) ოტილიეს განსაკუთრებულ მზრუნველობასაც ოთხი ადამიანის გამაერთიანებელი თვისებების სწორედ მასში თავმოყრით ხსნის.<sup>4</sup>

თვით სიტყვა „Otto“-ში მკვლევარი ხედავს კიდევ ერთ საინტერესო მომენტს, რომელიც სცილდება სახელთა უბრალო იგივეობას. საქმე ის არის, რომ „Otto“ პალინდრომია,

<sup>2</sup> Heinz Schlaffer: Namen und Buchstaben in Goethes *Wahlverwandtschaften*. In: Jahrbuch der Jean-Paul-Gesellschaft. Jg. 7. München, 1972.

<sup>3</sup> ebenda, S. 88.

<sup>4</sup> ebenda.

ანუ სიტყვა, რომელიც წაღმა და უკულმა წაკითხვისას ერთნაირად ჟღერს. ამავდროულად, ის არ არის სრულყოფილი პალინდრომი, რადგან მის ღერძს არ ქმნის შუა ასო. „Otto“-ს შემთხვევაში ცენტრი სიცარიელეზე მოდის და ორ წყვილად გაყოფილი ასოები ერთმანეთთან სარკისებურ მიმართებაში არიან. ამიტომ არის, რომ ოთხი ფიგურა მუდამ ორ წყვილად იყოფა და არც ერთხელ არ ხდება მათი გაერთიანება – საქმე გვაქვს მხოლოდ გადაჯგუფებასთან. ცარიელი ცენტრის (Mitte) გამო მათი გაერთიანება შეუძლებელიც არის, რაზეც Mittler-ის უშედეგო მცდელობაც მეტყველებს. მათ ვერც ბავშვის (ოტოს) დაბადება აერთიანებს – პირიქით, შლაფერის აზრით, მასში მოქმედებს არა ცხოვრებისეული შეერთება, არამედ გათიშულის, გაყოფილის უსიცოცხლო გამეორება.<sup>5</sup> ბავშვი არის „die ironische Erfüllung und Zerstörung der kreuzweise geschlossenen Wahlverwandtschaften.“<sup>6</sup>

ზემოთ დასმული პრობლემატიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩანს შლაფერის შემდეგი დასკვნა: „Sobald die Namenverwandtschaft in der Identität des Namens Otto erkannt ist, erscheint „Wahlverwandtschaft“ als Euphemismus, als ironische Bezeichnung des Sachverhalts. Nicht Wahl, sondern ein Gesetz bestimmt die Konstellation der Figuren, das mit dem Recht des Einen das Getrennte, Individuelle zu sich zurückzwingt.“<sup>7</sup>

ზემოხსენებულ საკითხს რეზო ყარალაშვილიც ეხება თავის ნაშრომში „გაადამიანება გოეთეს არჩევით ნათესაობაში“,<sup>8</sup> სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ეს გარემოება (გმირთა სახელების იდენტურობა) სხვა მკვლევრებსაც ჰქონდათ შემჩნეული (მაგალითად, ჯ.მ.ელისს<sup>9</sup>), მაგრამ ლიტერატურათმცოდნეობამ რატომღაც არ გადადგა შემდეგი, თითქოსდა ლოგიკური ნაბიჯი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დაგვესკვნა, რომ რომანში, ფაქტობრივად, მოქმედებს ერთი პერსონაჟი (ოტო), ერთგვარი „materia prima“, რომელიც ოთხ ელემენტს შეიცავს და შემდგომი ზრდის, ამაღლების საწყისს წარმოადგენს. აქ ყარალაშვილი ლაპარაკობს ალქიმიურ ექსპერიმენტზე, ალქიმიურ სიმბოლიკაზე, რომელსაც გოეთე უზვად იყენებს თავის რომანში. ალქიმიური ცდის ცალკეული ელემენტები რომანში ოთხი მთავარი პერსონაჟით იცვლება, რომლებიც ისევ და ისევ ერთი ზოგადი პერსონაჟის ოთხ სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ.

რომანის პრობლემატიკის არქიტექტონულ გამართვას ემსახურებიან დანარჩენი მოტივებიც, რომელთაგან ამჯერად კიდევ მხოლოდ ორზე შევჩერდები. თორემ მოტივების რიცხვი „არჩევით ნათესაობაში“ გაცილებით დიდია. ედით აულჰორნი, მაგალითად, 24 ასეთ მოტივს ითვლის.<sup>10</sup> ყოველი მოტივი გოეთეს ისე შემოჰყავს თხრობაში, რომ მისი გამეორებისას უმაღლესად გვახსენდება ამ მოტივის პირველი გამოჩენა. თანაც, ასეთ შემთხვევაში მკითხველს საშუალება ეძლევა, ნათლად წარმოიდგინოს პერსონაჟისა თუ მოვლენათა განვითარება მოტივის პირველ გამოჩენასა და მის შემდგომ გამეორებებს შორის. თავის გამოკვლევაში „გოეთეს „არჩევითი ნათესაობის“ აგებულება“ ედით აულჰორნი ამის თაობაზე წერს, რომ გოეთე უმცირეს მოტივსაც კი არ უკარგავს მნიშვნელობას და გამეორების საშუალებით მას აუცილებელ ადგილს აკუთვნებს ნაწარმოების საერთო სტრუქტურაში.<sup>11</sup>

<sup>5</sup> ebenda, S. 89

<sup>6</sup> ebenda, S. 94

<sup>7</sup> ebenda, S. 88

<sup>8</sup> Siehe Reso Karalaszwilli: „...was eigentlich singen heiÙe“. Zum Problem der Menschwerdung in Goethes *Wahlverwandtschaften*. In: Goethe-Jahrbuch, Bd. 99. Weimar, 1982. S. 76-88.

<sup>9</sup> Siehe J.M.Ellis: Names in *Faust* and *Die Wahlverwandtschaften*. In: Seminar. Vol. I, 1965, p. 29-41.

<sup>10</sup> Siehe Edith Aulhorn: Der Aufbau von Goethes *Wahlverwandtschaften*. In: Goethes Roman *Die Wahlverwandtschaften*. Herausg. von Ewald Rösch. Darmstadt, 1975. S. 97-124.

<sup>11</sup> ebenda.

პირველი იმ ორი მოტივიდან, რომლებზეც მინდა ვისაუბრო, არის **ჭიქის** მოტივი. იგი „არჩევითი ნათესაობის“ ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი მოტივია, რომლის სიმბოლიკაც დიდ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. ეს მოტივი გოეთეს ოთხჯერ შემოჰყავს თხრობაში: ორჯერ პირველ ნაწილში და ორჯერ – მეორეში. „ფაქიზად თლილი ღვინის ჭიქა“ პირველად IX თავში გვხვდება. ედუარდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს შარლოტეს დაბადების დღეს. მამულში უამრავი სტუმარი იკრიბება, რათა არა მარტო პატივი სცენ შარლოტეს, არამედ ახალი სახლის მშენებლობის დაწყებასაც დაესწრონ. სწორედ საძირკვლის ჩაყრის ცერემონიის დროს<sup>12</sup> ახალგაზრდა კალატოზი წარმოთქვამს სადღეგრძელოს, რომლის შემდეგაც ღვინოს შესვამს და ცარიელ ჭიქას ჰაერში გადაისვრის. მაგრამ ჭიქა არ ტყდება – მას ხარაჩოებზე შემდგარი სტუმრები დაიჭერენ. ამ მომენტის შემდეგ ეს ჭიქა გახდება ედუარდის „მანათობელი ვარსკვლავი, რომელიც მის ბედნიერებას უზრუნველყოფს“.<sup>13</sup> საქმე ის არის, რომ ჭიქაზე ამოტვიფრულია ასოები E და O, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ ედუარდის ორმაგი სახელის (Eduard-Otto) პირველი ასოები იყო, ახლა კი შეყვარებული კაცისთვის სრულიად სხვა მნიშვნელობა შეიძინა: Eduard-Ottlie. ედუარდის რწმენა, რომ ხსენებული ჭიქა ზეციური ძალის მატარებელია, აშკარად გამოიკვეთება პირველი ნაწილის XVIII თავში, მიტლერთან მისი საუბრისას (ჭიქის მეორე გამოჩენა). ედუარდი ამბობს: „Mein Schicksal und Ottliens ist nicht zu trennen, und wir werden nicht zugrunde gehen. Sehen Sie dieses Glas! Unsere Namenszüge sind dareingeschnitten... Um hohen Preis habe ich es wieder eingehandelt, und ich trinke nun täglich daraus, um mich täglich zu überzeugen, daß alle Verhältnisse unzerstörlich sind, die das Schicksal beschlossen hat.“<sup>14</sup> ეს რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდება მეორე ნაწილის XII თავში (ჭიქის მესამე გამოჩენა), როცა ედუარდი სრულიად უვნებელი, საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული ბრუნდება ომიდან. პირველ რიგში იგი შეხვდება თავის ბავშვობის მეგობარს (რომელიც ამასობაში უკვე მაიორი გამხდარა) და გზნებით მოუთხრობს დასამსხვრევად განწირული ჭიქის ამბავს. „So will ich mich denn selbst, – rief ich mir zu... mich selbst will ich an die Stelle des Glases zum Zeichen machen, ob unsere Verbindung möglich sei oder nicht. Ich gehe hin und suche den Tod...“<sup>15</sup>

ჭიქის უკანასკნელი, მეოთხე გამოჩენა ხდება მეორე ნაწილის ბოლო, XVIII თავში. ამ დროისთვის ოტილიე უკვე გარდაცვლილია და ედუარდი მწარედ განიცდის მის სიკვდილს. ერთადერთ ნუგეშად ისლა დარჩენია, რომ საათობით შეჰყურებდეს თავისი და ოტილიეს სახელების პირველ ასოებს, ამოტვიფრულს ღვინის ჭიქაზე, რომელიც ვერ აღმოჩნდა კარგი წინასწარმეტყველი. მაგრამ ედუარდს იმდენად სწამს ბედისწერისა (რომელიც ვითომდა ამ ჭიქაშია მატერიალიზებული), რომ ჯერ კიდევ სჯერა ოტილიესთან შეერთებისა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ედუარდი ჭიქას პირთან მიიტანს, შეძრწუნებული დაინახავს, რომ მისი ზედაპირი სრულიად გლუვია და ასოებიც გამქრალა. მაგრამ მაგიური ძალები აქ არაფერ შუაშია: ირკვევა, რომ მსახურს ჭიქა რამდენიმე დღით ადრე შემთხვევით გასტეხვოდა და იგი ზუსტად ისეთივეთი შეეცვალა, იმ განსხვავებით, რომ ახალ ჭიქაზე E და O არ არის ამოტვიფრული. ამ დღიდან მოყოლებული ედუარდი კარგავს ლაპარაკის, ჭამისა და სმის ხალისს. რამდენიმე დღის შემდეგ, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, იგი მაიორს ეტყვის: „...was bin ich unglücklich, dass mein ganzes Bestreben nur immer eine Nachahmung, ein falsches Bemühen bleibt! ... ich muß ihr nach, auf diesem Wege nach; aber meine Natur hält mich zurück und mein Versprechen. Es ist eine schreckliche Aufgabe, das Unnachahmliche nachzuahmen. Ich fühle

<sup>12</sup> საყურადღებოა, რომ „სახლი“ გარკვეულწილად ადამიანის ანალოგიაა და სახლის საძირკვლის ჩაყრა „ახალი ადამიანის“ საფუძვლის ჩაყრასაც გულისხმობს.

<sup>13</sup> Edith Aulhorn: Der Aufbau von Goethes *Wahlverwandtschaften*. S. 121.

<sup>14</sup> J.W.Goethe: Die *Wahlverwandtschaften*. S 121.

<sup>15</sup> ebenda, S. 212.

wohl, ... es gehört Genie zu allem, auch zum Märtyrertum.“<sup>16</sup> ამ ადგილას კიდევ ერთხელ წამოიწევეს წინა პლანზე ოტილიეს უდიდესი როლი რომანის მთელს პრობლემატიკაში, რაც, როგორც ზემოთაც ითქვა, ადამიანის საკუთარ თავზე ამალღების საკითხს უკავშირდება.

მესამე და უკანასკნელი მოტივი, რომელზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, არის **სკივრის** მოტივი. ახლოვდება ოტილიეს დაბადების დღე, რაზეც ედუარდი განუწყვეტილად ფიქრობს. მას სურს რაიმე განსაკუთრებული უსახსოვროს შეყვარებულს და ამიტომ შარლოტეს შეთავაზებული არც ერთი საჩუქარი არ მოსწონს. საბოლოოდ მიაერთმევს პატარა, ლამაზ სკივრს, რომელშიც უამრავი საჩუქარია ჩაწყობილი: „...den niedrigsten Koffer, mit rotem Saffian überzogen, mit Stahlnägeln beschlagen und angefüllt mit Geschenken, einer solchen Schale würdig.“<sup>17</sup> ამ მშვენიერ სკივრს ოტილიე მომდევნო, XV თავში თავის ოთახში იპოვის. მასში მოთავსებულიყო ათასნაირი მდიდრული ნაჭრებისა და სამკაულების ისეთი რაოდენობა, რომ ოტილიეს რამდენიმეჯერ ეყოფოდა თავით ფეხებამდე ჩასაცმელ-მოსართავად. ეს ყველაფერი ისე ლამაზად და კოხტად ეწყო, აღტაცებულმა ოტილიემ ვერც კი გაბედა სკივრიდან ნივთების ამოღება. ამის შემდეგ ვითარება მკვეთრად იცვლება და ედუარდი ომში მიემგზავრება. თუ რამდენად ენატრება იგი ოტილიეს, XVII თავში შევიტყობთ: „Wie oft lag diese (Otilie) aber nachts, wenn sie sich eingeschlossen, auf den Knien vor dem eröffneten Koffer und betrachtete die Geburtstagsgeschenke, von denen sie noch nichts gebraucht, nichts zerschnitten, nichts gefertigt.“<sup>18</sup> ამრიგად, ოტილიე მერეც ხელუხლებლად ტოვებს საჩუქრებს და მხოლოდ შორიდან შესცქერის მათ. ამ მოტივისა და, საერთოდ, ნაწარმოების პრობლემატიკისთვის ძალიან მნიშვნელოვნად მეჩვენება ეპიზოდი მეორე ნაწილის XV თავში. ეს გახლავთ პანსიონში დასაბრუნებლად ოტილიეს მზადების ეპიზოდი. შარლოტესთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, რომელშიც ის მას პანსიონში გადაბარების შესახებ თავის გადაწყვეტილებაზე უამბობს, იწყება მზადება გამგზავრებისთვის. ოტილიე ჩაალაგებს თავის ნივთებს და შარლოტე შეამჩნევს, რომ მათ შორის არ არის არც ის პატარა სკივრი, და არც სამკაულები და ნაჭრები, შიგნით რომ იდო. ოტილიე ედუარდის ყველა საჩუქარს ტოვებს, რაც საკუთარ გრძნობებზე სრულ უარის თქმას – Entsagen – ადასტურებს. ეს არის შინაგანი სრულქმნის, გაადამიანების, Menschwerdung-ის კიდევ ერთი სიმბოლო. მაგრამ მოტივი აქ არ მთავრდება. რომანის ბოლო თავის დასაწყისში ოტილიე სკივრიდან პირველად ამოალაგებს სამკაულებსა და ნაჭრებს, რომელთაგან ისეთებს ამოირჩევს, ერთ მთლიან მოკაზმულობად რომ ეყოს. სწორედ ამ ნაჭრებისგან შეკერილ კაბას ჩააცმევენ გარდაცვლილ ოტილიეს და ეკლესიაში, კუბოს გვერდით, მუხის ყუთში ჩადებულ სკივრსაც დაუდგამენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბუნებით კეთილი ოტილიე XVIII თავის დასაწყისში უარს ეუბნება მოახლე გოგონა ნანის რომელიმე ნაჭრის ან სამკაულის ჩუქებაზე და მას რომელიღაც სხვა, შესაძლოა, არანაკლებ ძვირფას ნივთს ჩუქნის. ამ ეპიზოდიდანაც ნათლად ჩანს, თუ რად უღირს ოტილიეს პანსიონში გამგზავრებისას ამ თავისთვის უძვირფასეს ნივთებთან განშორება.

სკივრის მოტივის დახმარებით ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე ილზე გრეჰემი<sup>19</sup> ცდილობს ამოხსნას საიდუმლოება („das offenbare Geheimnis“),<sup>20</sup> რომელიც გოეთემ „არჩევით

<sup>16</sup> ebenda, S. 254 f.

<sup>17</sup> ebenda, S. 98.

<sup>18</sup> ebenda, S. 116.

<sup>19</sup> Ilse Graham: Wintermärchen. Goethes Roman *Die Wahlverwandtschaften*. In: Goethe-Jahrbuch, Bd. 99. Weimar, 1982. S. 41-75.

<sup>20</sup> შდრ. გოეთეს წერილები კარლ ფრიდრიხ ცელტერისადმი: „Ich habe viel hineingelegt, manches hinein versteckt. Möge auch Ihnen dies offenbare Geheimnis zur Freude gereichen.“ იხ. აგრეთვე: „Ich bin überzeugt,

ნათესაობაში“ ჩადო. შევეცდები, მოკლედ გადმოვცე გრეჰემის მოსაზრება, რომელიც, უდავოდ, ყურადღების ღირსია.

თავის მსჯელობაში მკვლევარი, ძირითადად, ეყრდნობა გოეთეს საბუნებისმეტყველო ნაშრომებს. ესენია: „მცენარეთა მეტამორფოზა“ და „მწერების, განსაკუთრებით კი პეპლების მეტამორფოზა“. მწერებსა და მცენარეებზე გოეთეს ცალკეული გამონათქვამების მოშველიებით გრეჰემი აყალიბებს თეზას, რომ რომანის პერსონაჟები (მაგალითად, შარლოტე და მისი ქალიშვილი) მწერალს აბრემუმის ჭიის მატლებად ჰყავდა წარმოდგენილი, რადგან ეს ადამიანები სწორედ ამ მატლებივით ხარბები და გაუმაძღრები არიან. მაგრამ ნაწარმოებში კონტრასტისთვის ლამაზი და მშვენიერი პეპელაც ხომ უნდა ყოფილიყო! სწორედ ეს პეპელაა ოტილიე. უფრო სწორად, თავისი არსებობის მანძილზე სათნო ოტილიეც მატლია, ოღონდ დაბერების პროცესში მყოფი მატლი, რომლის სიკვდილის შედეგადაც გაჩნდება მშვენიერი პეპელა. გოეთეს მიხედვით, „სიბერეშეპარულ“ მატლს ახასიათებს ხუთი მკვეთრად გამოვლენილი თვისება, რომელთაგან ოთხს გრეჰემი ოტილიეშიც ხედავს (მაგალითად, საკვებზე უარის თქმა). მაგრამ რომანის პრობლემატიკის თვალსაზრისით საინტერესოა ბოლო ორი თვისება, რომელიც ბებერ მატლსაც და ოტილიესაც საერთო აქვთ: სიკვდილის, ანდა სხვაგვარად, ჯადოსნური მეტამორფოზის პირზე მყოფი მატლი „შემგროვებელი მწერია“. ბოლოს, სიკვდილის წინ, იგი იწყებს ჭუპრის ქსოვას, სადაც ხდება კიდევ ზემოხსენებული გარდაქმნა და ფერისცვალება. რაც შეეხება ქალიშვილს, ოტილიეც ერთგვარად თითქოს აგროვებს, თითქოს თავის თავში შეიწოვს მომავალი გარდაქმნისთვის საჭირო ენერჯიას. ამის სიმბოლური დასტურია ის, რომ იგი ხელს არ ახლებს ედუარდის ნაჩუქარ სკივრში ჩაწყობილ არც ერთ ნივთს, სანამ სიკვდილის მოახლოებას არ იგრძნობს, ხოლო სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ოტილიე „ჭუპრსაც“ მოიქსოვს – სკივრიდან რამდენიმე ნაჭერს ამოიღებს და ულამაზეს კაზას შეიკერავს. ანალოგია მართლაც თვალსაჩინოა და გრეჰემი პატარა სკივრში სწორედ იმ ჭუპრს ხედავს, რომელშიც ხდება ერთი მხრივ მატლის პეპლად, ხოლო მეორე მხრივ ოტილიეს „ჭუმბარიტ ადამიანად“ გარდაქმნა. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად გრეჰემი კიდევ ორ არგუმენტს იშველიებს. პირველი: თავის გამოკვლევებში მცენარეებისა და მწერების შესახებ გოეთე ავითარებს ჰიპოთეზას, რომ მეტამორფოზა ხდება სასიცოცხლო „წვენთა“ სულ უფრო მზარდი განწმენდისა და დესტილაციის მეშვეობით, რაც განაპირობებს წინა, დაბალი სტრუქტურების ხარისხობრივ გარდაქმნას უფრო მაღალ სტრუქტურებად. ამ „წვენს“ გოეთე უწოდებს „**köstlicher Saft**“-ს, სკივრს კი, ჩვენდა გასაოცრად – „**köstlicher kleiner Koffer**“-ს. მეორე „დამთხვევა“ უფრო საინტერესო და ძნელად ასახსნელია, მაგრამ არანაკლებ ყურადსაღებია მისი გრეჰემისეული ინტერპრეტაცია: მას შემდეგ, რაც ოტილიე სკივრიდან რამდენიმე ნაჭერს ამოიღებს, დანარჩენ ნაჭრებს იგი უკან ვეღარ ატევს: „Der Raum war übervoll, obgleich schon ein Teil herausgenommen war.“<sup>21</sup> როგორ უნდა გავიგოთ ეს უცნაური ამბავი? რამ გამოიწვია ის, რომ ნივთები სკივრში აღარ ჩაეტია – სკივრის შევიწროებამ თუ ნივთების გაფართოებამ? ყოველ შემთხვევაში, ერთიცა და მეორეც თანაბრად წარმოუდგენელი ჩანს, რადგან საქმე გვაქვს უსულო საგნებთან, არადა იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ორგანული პროცესი მიმდინარეობდეს. პასუხს ამ შემთხვევაშიც გოეთეს პეპლებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ვპოულობთ: თურმე დაჭუპრების დაწყებისთანავე შინაგანი ნაწილები მნიშვნელოვან ზრდას განიცდიან. მწერი სიგანეში იზრდება და კანში ვეღარ ეტევა. შემდეგ იგი იგრძნობს და თავის გარშემო კიდევ უფრო ვიწრო ჭუპრს მოიქსოვს. ამრიგად,

---

daß Sie der durchsichtige und undurchsichtige Schleier nicht verhindern wird bis auf die eigentlich intentionierte Gestalt hineinzusehen (Goethe an Karl Friedrich Zelter, Briefe vom 1. Juni und 26. August 1809).

<sup>21</sup> J.W.Goethe: Die Wahlverwandtschaften. S. 245.

მიმდინარეობს ორმაგი ორგანული პროცესი, რომლის დროსაც ჭუპრი – ჩვენს შემთხვევაში სკივრი – პატარავდება, ხოლო მატლი – რომანის სიმბოლურ რეალიებში მას სკივრში ჩაწყობილი ნივთები შეესაბამება – იზრდება. როგორც ვხედავთ, გრეჰემის თვალსაზრისი, რომელიც სკივრის მოტივს პეპლის სიმბოლიკას უკავშირებს, უშუალო კავშირშია რომანის ძირითად პრობლემატიკასთან და ოტილიეს თანდათანობით განსულიერებას (Vergeistigung), მის ამაღლებას ათვალსაჩინოებს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ პეპელა გოეთეს მიაჩნდა სინათლისა და ჰაერის ჭეშმარიტ ქმნილებად: „Schmetterling – diese wahrhafte Ausgeburt des Lichtes und der Luft.“<sup>22</sup>

ამრიგად, „არჩევითი ნათესაობის“ „თვალსაჩინო საიდუმლოება“ (das offenbare Geheimnis), მასში ჩამალული ძირითადი აზრი, იგივეა, რაც გოეთეს თავის დროზე გამოხატული აქვს ფორმულად ქცეულ სენტენციაში „მოკვდი და იქმენ!“ (Stirb und werde!)<sup>23</sup> ამ დასკვნამდე მიდის ილზე გრეჰემი. თავისი სიკვდილით ოტილიე მხოლოდ მაღლდება საკუთარ თავზე და სხვა ადამიანებზე, მისი სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ ხელახლა დაბადებაა, რაზეც რომანის უკანასკნელი სიტყვაც მიგვანიშნებს. ეს სიტყვაა „გამოღვიძება“ – „Erwachen“.

გრეჰემის ინტერპრეტაციას ოტილიეს შემდეგი სადღიურო ჩანაწერიც ეხმიანება: „Alles Vollkommene in seiner Art muß über seine Art hinausgehen, es muß etwas anderes, Unvergleichbares werden. In manchen Tönen ist die Nachtigall noch Vogel; dann steigt sie über ihre Klasse hinüber und scheint jedem Gefiederten andeuten zu wollen, was eigentlich singen heiße.“<sup>24</sup> რეზო ყარალაშვილი კი თავის ზემოხსენებულ გამოკვლევაში დასძენს: „Nun scheint auch Goethe in Ottiliens Gestalt uns zeigen zu wollen, was eigentlich Mensch sein heiße.“<sup>25</sup>

•

#### **Quellen:**

Goethe, Johann Wolfgang von: Die Wahlverwandtschaften. Textkritisch durchgesehen von Erich Trunz, kommentiert von Benno von Wiese. München, 1980.

Goethe: Werke. Jubiläumsausgabe in 6 Bänden, Bd. 1, Gedichte, West-östlicher Divan. Darmstadt, 1998.

Goethe: Werke. Herausgegeben im Auftrag der Großherzogin Sophie von Sachsen. IV. Abteilung: Briefe, Bd. 20. Weimar, 1896.

#### **Literatur:**

Schlaffer, Heinz: Namen und Buchstaben in Goethes Wahlverwandtschaften. In: Jahrbuch der Jean-Paul-Gesellschaft. Jg. 7. München, 1972. S.84-95.

Karalashvili, Reso: „...was eigentlich singen heiße“. Zum Problem der Menschwerdung in Goethes Wahlverwandtschaften. In: Goethe-Jahrbuch, Bd. 99. Weimar, 1982.

Ellis, J.M.: Names in Faust and Die Wahlverwandtschaften. In: Seminar. Vol. I, 1965.

<sup>22</sup> Ilse Graham: Wintermärchen. Goethes Roman *Die Wahlverwandtschaften*. S. 68.

<sup>23</sup> იხ. ლექსი „Selige Sehnsucht“ „დასავლურ-აღმოსავლური დივანიდან“.

<sup>24</sup> J.W.Goethe: Die Wahlverwandtschaften. S. 192.

<sup>25</sup> Reso Karalashvili: „...was eigentlich singen heiße“. Zum Problem der Menschwerdung in Goethes Wahlverwandtschaften. S. 78.



Aulhorn, Edith: Der Aufbau von Goethes Wahlverwandtschaften. In: Rösch, Ewald (Hrsg.): Goethes Roman Die Wahlverwandtschaften. Darmstadt, 1975.

Graham, Ilse: Wintermärchen. Goethes Roman Die Wahlverwandtschaften. In: Goethe-Jahrbuch, Bd. 99. Weimar, 1982. S. 41-75.